MES 2 22 0000548006

27/05/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
დავით მღებრიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილი
ნინო ჩივაძე - სკოლის აღმასრულებელი დირექტორი
ირმა კიკვაძე - სკოლის წარმომადგენელი
შპს ელიტური სკოლა გორდა
ნინო მურვანიძე - სკოლის დირექტორი
ზვიად ბერიძე - სკოლის იურისტი
შპს ახალი სკოლა
მარინა ჟღენტი - სკოლის წარმომადგენელი
ნინო ცინარიძე - სკოლის წარმომადგენელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილი
მარიამ ხუციშვილი
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
შპს ელიტური სკოლა გორდა
მაკა ჭიაბერაშვილი
ელენე კალანდაძე
შპს ახალი სკოლა
მიხეილ ტეფნაძე
ნანა ედიშერაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 17 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.
    1. შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
    2. შპს ელიტური სკოლა გორდას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
    3. შპს ახალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მარიამ ხუციშვილმა და ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა. მარიამ ხუციშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 3 და 4 აპრილს. ექსპერტის თქმით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა მომავლის ლაბორატორიასთან. მისი განმარტებით, სკოლას ჰქონდა სპეციალური კაბინეტი, სადაც მოწყობილი იყო რობოტტექნიკა. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ისეთ არჩევით საგნებს, როგორებიც იყო ელექტროტექნიკა, მობ-სიმულატორი, სამი-დე მოდელირება, ვიზუალური პროგრამირება, კავეა, ლეგო, გრაფიკული დიზაინი და ა.შ.. ამავე ექსპერტის განცხადებით, სკოლა ხელს უწყობდა წრეობრივი მუშაობის განხორციელებას, რის ფარგლებშიც მოსწავლეებისთვის ფუნქციონირებდა ჭადრაკის, ქართული ცეკვის, ფეხბურთის, კითხვის საათის, განმავითარებელი თამაშების, ხელგარჯილობისა და რუსული, გერმანული, ფრანგული და იტალიური ენების წრეები. რაც შეეხებოდა, თავად, სწავლების პროცესს, ექსპერტის განცხადებით, სკოლა ორიენტირებული იყო თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე, სკოლის მიერ გათვალისწინებული იყო მოსწავლეების შესაძლებლობები და ინტერესები. , მარიამ ხუციშვილმა დაამატა, რომ სკოლის წარმომადგენელების მიერ დიდი ყურადღება ეთმობოდა მოსწავლეების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს.

ექსპერტ, მარიამ ხუციშვილის განმარტებით, სკოლის საერთო ფართი 1406, 70 მ²იყო. შენობა შედგებოდა 6 სართულისაგან, რომელშიც განთავსებული იყო 16 საკლასო ოთახი. ექსპერტებმა ვიზუალური დათვალიერებითა და შესყიდვის დოკუმენტების შესწავლის შედეგად დააფიქსირეს 268 მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი. ასევე, ექსპერტის თქმით, სკოლის მეხუთე სართულზე ოყო სპორტული დარბაზი, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე 3 მოსწავლე, რომელთა სწავლების პროცესი ხორციელდებოდა რესურს-ოთახში.

ამავე ექსპერტის განცხადებით, სკოლის მფლობელობაში იყო 46 კომპიუტერი, რომელთაგან 23 პერსონალური კომპიუტერი იყო, 23 კი ლეპტოპი. ამას, გარდა სკოლას ჰქონდა პროექტორი, სხვადასხვა სახის პრინტერი და ა.შ. სკოლაში ფუნქციონირებდა ადაპტირებული სველი წერტილიც, თუმცა, ექსპერტმა აქვე დაამატა, რომ სკოლას შშმ მოსწავლე არ ჰყავდა.

ექსპერტ, მარიამ ხუციშვილის განცხადებით, სკოლას ჰყავდა 73 თანამშრომელი, მათგან 45 იყო პედაგოგი, რომელთაგან 26 იყო უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე, 3 წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე, 1 მაძიებელი მასწავლებელი, 9 მოწვეული სტატუსის მქონე მასწავლებელი და 6 უსტატუსო მასწავლებელი. მათთან 2 წლის ვადით ჰქონდა სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული. ექსპერტის თქმით, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ისინი ვალდებული იყვნენ ჩაებარებინათ შესაბამისი საგნის გამოცდა და გაევლოთ მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 6 უსტატუსო მასწავლებლიდან ორი მასწავლებელი სკოლაში არ ასწავლიდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს. ექსპერტის განმარტებით, ყველა მოწვეულ მასწავლებელთან გადამოწმდა სწავლების განხორციელების უფლების დამადასტურებელი დიპლომისა და პრაქტიკის შესაბამისობა.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას არცერთი სტანდარტის ფარგლებში არ დაუფიქსირდა ხარვეზი, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით ორი მიმართულებით. ერთ-ერთი იყო მატერიალური რესურსების ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ექიმის კაბინეტს, სადაც არ იყო სველი წერტილი,

ამავე ექსპერტის განცხადებით, სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და ვიზიტის დასრულებამდე წარადგინა ონკანის ყიდვის მიღება-ჩაბარების აქტი, ონკანის სურათების დანართით. ექსპერტის თქმით, მეორე რეკომენდაცია ექსპერტთა მხრიდან გაიცა ადამიანური რესურსის მიმართულებით. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესში, ასევე მასწავლებლის დასაქმების წესში, სკოლას არ ჰქონდა გაწერილი შიდა ვაკანსიის წესი. რეკომენდაციის საფუძველზე კი სკოლას უნდა დაემატებინა შიდა ვაკანსიის წესი. მარიამ ხუციშვილმა განმარტა, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია.

ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა დაასკვნა, რომ სკოლაში საკმაოდ მეგობრული, პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო იყო.

ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტი პოზიტიურ გარემოში წარიმართა. მან სკოლის ძლიერ მხარედ ინოვაციების დანერგვა დაასახელა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს და სთხოვა დაედასტურებინათ იმ თანამშრომელთა ხელშეკრულების გაფორმების თარიღი, რომლებიც 2 წლის ვადით იყვნენ დასაქმებულნი. დასმულ კითხვაზე საპასუხოდ, ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა განმარტა, რომ ხელშეკრულებების გაფორმების თარიღი იყო 2021 წლის სექტემბერი, შესაბამისად, ხელშეკრულება ჯერ კიდევ იყო მოქმედი. საბჭოს ამავე წევრმა ექსპერტებს მიმართა თხოვნით, დაეზუსტებინათ არსებობდა თუ არა ცალკე მასწავლებელთა შერჩევის წესი და საჭიროებდა თუ არა აღნიშნული წესი კვლავ სკოლის შინაგანაწესში შეტანას. დასმულ შეკითხვაზე ექსპერტმა, მარიამ ხუციშვილმა უპასუხა, რომ სკოლას შიდა კონკურსის გამოცხადების გამოცდილება არ ჰქონდა, შესაბამისად, სკოლამ არ ჩათვალა მისი შინაგანაწესში გათვალისწინება საჭიროდ. ზვიად გოგუაძის განცხადებით, აღნიშნული წარმოადგენდა პრობლემას, რადგან მისი თქმით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შინაგანაწესში უნდა ჰქონოდა შიდა კონკურენციის წესი.

საბჭოს წევრ, ზვიად გოგუაძის თქმით, სკოლას საიტზე ჰქონდა გაცხადებული პოლიტიკა საფეხურების მიხედვით, კერძოდ, სკოლას შეეძლო მოსწავლის მიღების პროცესში გასაუბრება ჩაეტარებინა დაწყებით საფეხურზე, ან წერითი გამოცდა საბაზო და საშუალო საფეხურზე. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, განემარტათ, თუ რა იყო აღნიშნული გამოცდის მიზანი და შეიძლებოდა თუ არა გამხდარიყო გამოცდა მოსწავლის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი. სკოლის აღმასრულებელმა დირექტორმა, ნინო ჩივაძემ, დასმული შეკითხვის საპასუხოდ, განმარტა, რომ გასაუბრების მიზანს წარმოადგენდა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა, რადგან სწავლის პროცესში სკოლას აღნიშნული გაეთვალისწინებინა.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს თუ რამდენად ხელმისაწვდომი იყო რობოტტექნიკის საგნები ყველა მოსწავლისათვის და რომელ საფეხურზე ისწავლებოდა აღნიშნული საგნები. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, ირმა კიკვაძემ, განმარტა, რომ I კლასიდან XI კლასის ჩათვლით, ყველა კლასში, ისწავლებოდა აღნიშნული საგნები, რომლებიც გაწერილი იყო კურიკულუმისა და ოფიციალური საათობრივი ბადის მიხედვით. ირმა კიკვაძის განმარტებით, X და XI კლასებში აღნიშნული საგნები ისწავლებოდა არჩევითი საგნების სახით, ხოლო დანარჩენ კლასებში ისწავლებოდა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სახით.

საბჭოს წევრმა, მანანა ჯინჭარაძემ, კითხვით მიმართა სკოლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს, ირმა კიკვაძეს, ჰქონდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

და მუშაობდა თუ არა მათთან შესაბამისი გუნდი. კითხვის პასუხად, ირმა კიკვაძემ განმარტა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის შემუშავებული იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ასევე, მან განაცხადა, რომ სკოლაში მუშაობდა შესაბამისი გუნდი, რომელშიც შედიოდნენ სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი და ექიმი.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ გიჩი-სკოლა ჯეჯილი მომავლის ლაბორატორიასთან თანამშრომლობით საკმაოდ კარგად უწყობდა ხელს სასწავლო პროცესის განხორციელებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 268 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 268 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს გიჩი-სკოლა ჯეჯილს (ს/კ: 204863077) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 268 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

2. შპს ელიტური სკოლა გორდას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ჭიაბერაშვილმა და ელენე კალანდაძემ. ექსპერტ, მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით, ვიზიტი შპს ელიტურ

სკოლა-გორდაში განხორციელდა მიმდინარე წლის 28 და 29 მარტს ონლაინ ფორმატში. ექსპერტის თქმით, სკოლა მდებარეობდა ქ. ბათუმში. მაკა ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ სკოლას საათობრივი ბადის მესამე მოდელი ჰქონდა არჩეული. აღნიშნული მოდელის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი კი იყო ის, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაძლიერებულად ისწავლებოდა უცხო ენები და საბუნებისმეტყველო საგნები, მათ შორის ფაკულტატური სწავლებისა და წრეების სახით, რომლებიც მოიცავდნენ ისეთ მიმართულებებს, როგორებიც იყო სხვადასხვა სპორტული კლუბი, სახელოვნებო, ხალხური საკრავებისა და ფოლკლორის ანსამბლი, კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდისათვის მოსამზადებელი ცენტრი. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განმარტა, რომ სკოლაში ასევე ფუნქციონირებდა არტ-კლუბი, ოქროს კალამი, სამოქალაქო განათლების კლუბი და ხელოვნების სახელოსნო. ექსპერტის თქმით, საათობრივი დატვირთვა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას და სკოლა შეთანხმებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთანაც. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა წარმოდგენილი კურიკულუმი, მათ შორის, კომპლექსური დავალებები, თუმცა კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დისკუსიის რუბრიკები, პრეზენტაციის რუბრიკა, რომლებიც წარმოადგენდნენ ზოგადი ტიპის შეფასებას და ასევე, არ შეესაბამებოდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტს, ექსპერტებმა სკოლას მისცეს რეკომენდაცია მეტად დაეკონკრეტებინათ შეფასების რუბრიკები.

ექპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ხუთი კათედრა. მისი თქმით, სკოლაში სწავლობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ერთი მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეფასების სისტემა შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით კი, მაკა ჭიაბერაშვილმა განმარტა, რომ სკოლა ითვალისწინებდა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის N95/ნ ბრძანებას და მითითებული სქემის მიხედვით წარმართავდა სკოლა სწავლების პროცესს.

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ სკოლის შენობა იყო ხუთსართულიანი, და 1897,76 $მ^2$. მისი თქმით, სკოლაში 22 საკლასო ოთახი იყო, სადაც განლაგებული იყო 428 მერხი, დასაწყობებული კი 550 მოსწავლისათვის საჭირო მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი. ექსპერტის განმარტებით, დარეზერვებული იყო 4 საკლასო ოთახი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მატერიალური რესურსის მხრივ, სკოლას არ ჰქონდა ხარვეზი. მაკა ჭიაბერაშვილმა ასევე დაამატა, რომ სკოლას ჰქონდა გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც ექსპერტის მხრიდან, დასახელდა სკოლის ძლიერ მხარედ.

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 61 თანამშრომელი, მათ შორის 40 მასწავლებელი, რომელთაგან 3 იყო მოწვეული სტატუსის მქონე, 3 მასწავლებელს ჰქონდა მაძიებელი მასწავლებლის სტატუსი, 15-ს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 17 მასწავლებელი კი იყო უსტატუსო . ექსპერტის განმარტებით, ყველა მასწავლებელთან გაფორმებული იყო სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულება. რაც შეეხებოდა უსტატუსო მასწავლებლებს, მაკა ჭიაბერაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჩატარებული ჰქონდა კონკურსი განათლების და მეცნიერების მინისტრის N174/ნ ბრძანების შესაბამისად, თუმცა, ექსპერტის თქმით, სკოლაში ვერ შეირჩა შესაბამისი კადრი . შედეგად, ზემოხსენებული 17 მასწავლებელი დარჩა სქემის მიღმა. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლამ ახალი ხელშეკრულების საფუძველზე ისევ თავისი კადრი აიყვანა პოზიციაზე. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ სკოლის მიერ მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დაფიქსირდა რამდენიმე ხარვეზი, კერძოდ, არ იყო ნახსენები კუთვნილი შვებულებით სარგებლობის შესაბამისი მუხლი და ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის შესაბამისი მუხლი. ასევე, არც ერთ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული ანაზღაურების საკითხი. ექსპერტებმა ხელშეკრულებების მიმართულებით გასცეს რამდენიმე რეკომენდაცია, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გამოეცხადებინათ კონკურსი და უსტატუსო მასწავლებლები ჩაენაცვლებინათ კონკურსის წესით გამოვლენილი სტატუსიანი მასწავლებლებით. ასევე, ექსპერტების

რეკომენდაცია ითვალისწინებდა სკოლის მიერ ხელშეკრულებების შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.
ამავე ექსპერტმა განაცხადა, რომ 2019 წლიდან სკოლის შინაგანაწესში გაჩნდა ჩანაწერები სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დამყარების შესახებ, თუმცა, ეს ჩანაწერები იყო ინდივიდუალური და, ამავდროულად, ის გადაწყვეტილებები, რომლებიც სკოლის შინაგანაწესში იყო გაწერილი, არ იყო შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ სკოლას მიედევნებინა თვალი საკანონმდებლო ცვლილებისათვის და, შედეგად, დროულად განეხორციელებინა საჭირო ქმედებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა ექსპერტებს და სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რას გეგმავდა სკოლა 17 უსტატუსო მასწავლებელთან დაკავშირებით. დასმული კითხვის პასუხად, სკოლის დირექტორმა, ნინო მურვანიძემ, განაცხადა, რომ სკოლაში იყო 2 შემცვლელი მასწავლებელი, რომლებსაც ჰქონდათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი, თუმცა მანამდე არ მუშაობდნენ სკოლაში და ამიტომ, ვერ მოხდა მათი, როგორც შემცვლელი მასწავლებლების წარდგენა მასწავლებელთა სახლში სტატუსის ამაღლების თაობაზე. დირექტორმა განაცხადა, რომ ერთი მასწავლებელი გასული იყო დეკრეტულ შვებულებაში, მას ჰქონდა ჩაბარებული გამოცდა და ასევე, დარეგისტრირებული იყო მასწავლებლის მომზადების 60 - კრედიტიან პროგრამაზე. დირექტორმა განაცხადა, რომ მათ გაითვალისწინეს ექსპერტების მოცემული ყველა რეკომენდაცია, მათ შორის სკოლის დირექტორმა დაადასტურა, რომ ყველა უსტატუსო მასწავლებელი დარეგისტრირებული იყო გამოცდაზე და ელოდებოდნენ გამოცდების შედეგებს.
სკოლის იურისტმა, ზვიად ბერიძემ განაცხადა, რომ მათ არგუმენტირებული პოზიცია გააგზავნეს ცენტრში კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, თან დაურთეს ყველა ის ხელშეკრულება, რომლებიც ადასტურებდნენ, სკოლის მიერ ყველა რეკომენდაციის შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის წარმომადგენლები არ იზიარებდნენ ექსპერტთა რეკომენდაციას ხელშეკრულებაში კუთვნილი შვებულების საკითხის ჩაწერის აუცილებლობასთან დაკავშირებით, იურისტის განცხადებით, ექსპერტების მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინეს და დოკუმენტებში შეიტანეს შესაბამისი ცვლილებები. რაც შეეხებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესს, იურისტმა დაადასტურა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი შეთანხმებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. უსტატუსო მასწავლებლების შესახებ, ზვიად ბერიძემ განაცხადა, რომ მათ კანონთან შეუსაბამობა არ ჰქონდათ. მან დაადასტურა, რომ ყველა მასწავლებელი დანიშნული იყო 2 წლის ვადით, ყველა მათგანი ასევე დარეგისტრირებული იყო მიმდინარე წელს ჩანიშნულ საგნის გამოცდაზე. გარდა ამისა, იურისტმა დაამატა, რომ ზოგიერთ მათგანს საგნის გამოცდა ჰქონდა ჩაბარებული და გასავლელი ჰქონდა მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა. იურისტმა, აქვე აღნიშნა, რომ ყველა მასწავლებელი ინფორმირებული იყო მათი სტატუსის დამადასტურებელი პროცედურების შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს განემარტა, თუ როგორ ზრუნავდა სკოლა 17 უსტატუსო მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მათ პროფესიულ განვითარებაზე. დასმული კითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, ნინო მურვანიძემ განმარტა, რომ პანდემიის დაწყებამდე სკოლას მასწავლებლის გადამზადებასთან დაკავშირებით გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები რიგ ორგანიზაციებთან, პერიოდულად აფინანსებდნენ თითოეული მასწავლებლის ტრენინგებს. დირექტორმა განაცხადა, რომ ისინი მიმართავდნენ ყველა საჭირო ზომას, რათა ყველა მასწავლებლისათვის შეეწყოთ ხელი ჩაებარებინათ გამოცდა და სკოლას არ შეეწყვიტა მათთან ხელშეკრულება.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა ექსპერტებს მიმართა კითხვით, დაეზუსტებინათ, კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაცია, თუ ის შეფასდა როგორც ხარვეზი. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა დაადასტურა, რომ კომპლექსურ

დავალებებთან მიმართებით გაცემული იყო რეკომენდაცია და სკოლას ხარვეზი არ უფიქსირდებოდა.
სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნული სკოლა იყო საქართველოში ერთადერთი, რომელიც ახორციელებდა Erasmus საერთაშორისო პროგრამას და სკოლას ჰქონდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების გამოცდილება.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რადგან მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს პირველ სტანდარტს, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამებს. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტების მხრიდან მკაფიო და კონკრეტული რეკომენდაციები იყო გაცემული.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ, თუ რა შემთხვევაში მისცემდნენ პედაგოგს სახელფასო დანამატს. სკოლის იურისტმა, ზვიად ბერიძემ დასმული კითხვის საპასუხოდ განმარტა, რომ მასწავლებლებს შეიძლებოდა მისცემოდათ სტატუსის დანამატი სტატუსის ამაღლების დროს. სკოლის იურისტმა აქვე დაამატა, რომ ასეთ დროს დანამატი ხდებოდა შრომითი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 550 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ელიტური სკოლა-გორდას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 6 ივნისის N19 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 6 ივნისიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 6 ივნისს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ელიტურ სკოლა გორდას (ს/კ: 245439020) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550-ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 6 ივნისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

3. შპს ახალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტ, მიხეილ ტეფნაძის თქმით, შემოწმდა სამივე სტანდარტი და სკოლას ხარვეზი არ ჰქონდა. მისი თქმით, დაწესებულების ძლიერი მხარე იყო მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე, ექსპერტის თქმით, სკოლა ახორციელებდა საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. ექსპერტის თქმით, დაწესებულება მუშაობდა გაწერილი შეფასების სისტემით, რომლითაც კმაყოფილი იყო მოსწავლეც და მასწავლებელიც. მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური ისწავლებოდა როგორც ინგლისურ ენაზე, ასევე ქართულ ენაზეც. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში, საგანმანათლებლო მომსახურებას იღებდა 702 მოსწავლე, რომელთაგან 479 ირიცხებოდა ქართულ სექტორზე, ხოლო 223 ინგლისურ სექტორზე. მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა საათობრივ ბადესთან დაკავშირებით. სკოლას აღნიშნული უნდა შეეთანხმებინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რადგანაც, ექსპერტის თქმით, სკოლა ორ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა. მიხეილ ტეფნაძემ იქვე დაამატა, რომ აღნიშნული დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა. ექსპერტის თქმით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიხედვით დაწესებულებას შეეძლო მომსახურება გაეწია 850 მოსწავლისთვის. მიხეილ ტეფნაძემ განმარტა, რომ დაწესებულების საკუთრებაში იყო 5 შენობა-ნაგებობა, რომელთაგან 4-ში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, ხოლო 1 განკუთვნილი იყო საერთო საცხოვრებლისთვის. ექსპერტის თქმით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სწავლება მიმდინარეობდა კაბინეტური სისტემით ხოლო დაწყებით კლასებში საკლასო სისტემით. დაწესებულების ფართი შეადგენდა 9176 კვ.მ-ს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსი ორიენტირებული იყო მოსწავლეს ესწავლა ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში. მიხეილ ტეფნაძის თქმით, ექსპერტთა მხრიდან გაცემული იყო რჩევა უსტატუსო მასწავლებლებთან დაკავშირებითაც, რომ დარეგისტრირებულიყვნენ საგნის კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდებზე. შემდეგი რჩევა კი ეხებოდა ადამიანური რესურსის ხელშეკრულებებს. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ხელშეკრულებებში უნდა განესაზღვრა მასწავლებელთა სტატუსი და ფუნქცია-მოვალეობები სტატუსის შესაბამისად.

ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა დაამატა, რომ ქართულ სექტორს ემსახურებოდა 53 მასწავლებელი, ხოლო ინგლისურენოვან სექტორს 26 პედაგოგი.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენელთან.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა მიხეილ ტეფნაძეს, ჰქონდა თუ არა სკოლას გადმოღებული რაიმე საერთაშორისო საბაკალავრო პრაქტიკიდან ქართულ პროგრამაში, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმებს მიაახლოვებდა საერთაშორისო გამოცდილებასთან.

ექსპერტ, მიხეილ ტეფნაძის განმარტებით, საგანმანათლებლო პრინციპების აქტიური გამოყენება ხდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. აქვე, მან დაამატა, რომ დაწესებულება ორიენტირებული იყო საგანმანათლებლო გარემოს კვლევა-ძიების პროცესის დანერგვაზე. ექსპერტის თქმით, ასევე, სკოლას ჰქონდა დიდი გამოცდილება ადამიანური რესურსის მხრივ საგნების ინტეგრირებისა და საერთო კავშირების დამყარების. მან დაამატა, რომ აღნიშნული ნათლად გამოჩნდა მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერვიუირებისას.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ იკითხა, საერთაშორისო IB

  პროგრამის ტრენინგები უტარდებოდათ თუ არა ინგლისურ ენოვანი სექტორის გარდა ქართულ სექტორზე მყოფ მასწავლებლებს.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ დაადასტურა, რომ ორივე სექტორის წარმომადგენლებს უტარდებოდათ აღნიშნული ტრენინგები.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შემუშავებული წესრიგის დაცვის ალტერნატიული მექანიზმები. ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განმარტა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის ალტერნატიული მექანიზმი, რომელიც შეთანხმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ იკითხა, თუ რამდენი იყო მაძიებელ მასწავლებელთა რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლაში 12 მაძიებელი მასწავლებელი იყო.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ ყურადღება გაამახვილა მოსწავლეთა მიღების პოლიტიკის საკითხზე. მისი თქმით, სკოლას შეეძლო უარი ეთქვა მოსწავლისთვის იმ შემთხვევაში, თუ რაიმე სახის დისციპლინური გადაცდომა უფიქსირდებოდა წინა სკოლაში. ასევე, დაწესებულების პირობის თანახმად მოსწავლის ერთ-ერთი მშობელი უნდა ყოფილიყო მუდმივად საქართველოში. დაწესებულების წარმომადგენლის, მარინა ჟღენტის განმარტებით სკოლა უარს არ ეუბნებოდა მოსწავლეებს მიღებაზე, მაგრამ მათი მიზანი იყო სრული ინფორმაციის ფლობა მოსწავლის შესახებ. მან აქვე განმარტა, რომ თითოეული მოსწავლის მშობელი ცხოვრობდა თბილისში და ეს ჩანაწერი ძირითადად ეხებოდა უცხოელ მოსწავლეებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის სახით დაამატა, რომ მოსწავლის მიღებასთან დაკავშირებით აღნიშნული ჩანაწერი იყო შერჩევის მექანიზმი და ეწინააღმდეგებოდა თანასწორობის პრინციპს.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა დაამატა, რომ შესაძლებელი იყო მშობლის მაგივრად მეურვის ყოფნა სახელმწიფოში, თუმცა, მისი თქმით, ამასთან დაკავშირებით შინაგანაწესში არაფერი არ ეწერა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულ ჩანაწერს სკოლა გამართავდა.

საბჭოს წევრის, პეტრე ბაბილუას განმარტებით შესაძლებელი იყო აღნიშნული ჩანაწერი ყოფილიყო საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამაზე მყოფი მოსწავლეებისთვის, რადგანაც, მისი თქმით, სკოლა ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩართული იყო ევროკავშირის პროექტში. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით სკოლაში 40 სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე სწავლობდა.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ დააზუსტა, ჰქონდათ თუ არა ინფორმაცია ექსპერტებს მოსწავლეთა მიღების პოლიტიკაზე. მიხეილ ტეფნაძის თქმით, ექსპერტები იცნობდნენ მოსწავლეთა მიღების პოლიტიკას, მაგრამ შინაგანაწესში არ ეწერა აღნიშნული საკითხი.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ მოსწავლეთა მიღების პოლიტიკაზე ინფორმაცია ვებ-გვერდზე იყო განთავსებული, რომელიც ნებისმიერი მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის, მარინა ჟღენტის განმარტებით მოცემული საიტი საჭიროებდა განახლებას. მისი თქმით, სკოლას ამ ყველაფერზე მუშაობა დაწყებული ჰქონდა და უახლოეს მომავალში საბოლოო ვერსია იქნებოდა წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა ჰკითხა ექსპერტებს, ჰქონდათ თუ არა ინფორმაცია საგნების მიზნობრივ პრიორიტეტებზე და თუ იყო ისინი ერთმანეთთან შესაბამისობაში.

ექსპერტ, მიხეილ ტეფნაძის თქმით, ვიზიტის პერიოდში ექსპერტები ყველა დოკუმენტს გაეცნენ. მან აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის წლიური პრიორიტეტები საგნების მიხედვით შეესაბამებოდა სკოლის საგნობრივი შინაარსის მიზნებს .
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ იკითხა, თუ რატომ იყო 30 უსტატუსო მასწავლებელი დაწესებულებაში. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით ყველა უსტატუსო მასწავლებელი დარეგისტრირებული იყო მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე. ასევე, მან დაამატა, რომ პედაგოგები მუდმივად გადიოდნენ პროფესიული განვითარების კურსებს.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს იყენებდა თუ არა სკოლა პანსიონის შენობას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულება პანსიონის შენობას იყენებდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 850 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 850- ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 13 ივლისის N32 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 13 ივლისიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 13 ივლისიდან.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 2

საბჭოს წევრები, ზვიად გოგუაძე და შალვა მეკრავიშვილი არ დაეთანხმნენ აღნიშნულ გადაწყვეტილებას. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განმარტა, რომ სკოლაში მოსწავლის მიღების პოლიტიკა ქმნიდა დისკრიმინაციულ გარემოს. საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა დაამატა, რომ აღნიშნული საკითხი ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ახალ სკოლას (ს/კ: 202903750) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების

ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 850 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 13 ივლისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული და ინგლისური ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა